

ენერგეტიკული ტარიფები

მათი სოციალური და ეკონომიკური ეფექტები

ენერგეტიკული ტარიფები, ტრადიციულად, წინასაარჩევნო კამპანიების მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც წესი, პოლიტიკოსები ამომრჩეველს ტარიფების შემცირებას ჰპირდებიან. განცხადებები კეთდება ყოველგვარი გათვლებისა და არგუმენტების გარეშე (მაგალითად, „ჩვენ წყლის ქვეყანა ვართ“ და ჰიდრო ენერჯია იაფი, ან უფასო უნდა იყოს და ა.შ.), შედეგად კი, ხშირად ხდება ტარიფის სუბსიდირება ბიუჯეტის ხარჯზე.

იკვეთება რამდენიმე პრობლემა:

- მიიჩნევა, რომ დაბალი ტარიფი სოციალური სამართლიანობის აღდგენის ინსტრუმენტია;
- უგულებელყოფილია, რომ სუბსიდირებული ტარიფი ვნებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ეკონომიკის ეფექტურობას და ეწინააღმდეგება სოციალურ სამართლიანობას;
- უგულებელყოფილია საკითხის პროფესიული სიღრმე და ყურადღება არ არის გამახვილებული იმ ქმედებებზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ენერჯის ოპტიმალური ფასები მომხმარებლებისათვის.

მეტი სიცხადისათვის, აუცილებელია, განვმარტოთ ტარიფთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

საბაზრო და მონოპოლიური საქმიანობა - ტარიფი და ენერჯის ფასი


მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის და გაზის მიწოდებას რამდენიმე კომპონენტი უზრუნველყოფს: თავად ენერჯიაშემცველი (ელექტრობა, ბუნებრივი აირი), მისი გამომუშავება/იმპორტი და მიწოდება. ელექტროენერგეტიკული ქსელით თუ მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება ბუნებით მონოპოლიური საქმიანობაა, ვინაიდან მიმწოდებელი ქსელი ერთია და კონკურენტული ქსელების განვითარება არამიზანშეწონილია. ამისგან განსხვავებით, მიწოდების საქმიანობა კონკურენტული საქმიანობაა, რადგან საბოლოო მომხმარებელს ენერჯის მიწოდების მომსახურება სხვადასხვა კომპანიამ შეიძლება შესთავაზოს. განვითარებულ ქვეყნებში, ენერჯიაშემცველის ღირებულება საბაზრო კონკურენციით დგინდება, ხოლო ქსელური საქმიანობა და მისი შესაბამისი ტარიფები რეგულირდება მარეგულირებელი კომისიების მიერ. „საქართველოში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია“ (სემეკი) არეგულირებს როგორც ქსელურ ტარიფებს, ასევე - ძირითად სამომხმარებლო ტარიფებს.

ტარიფის შემადგენელი კომპონენტები

სამომხმარებლო ტარიფი ან ენერჯის საცალო ფასი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

1. **ენერჯიშემცველის საბითუმო ღირებულება** (ელექტრობა, ბუნებრივი გაზი) (გენერაცია, იმპორტი) საბითუმო ფასი კონკურენტული საქმიანობით დგინდება და, წესით, ბაზრით უნდა განისაზღვრებოდეს.
2. **ენერგეტიკული ქსელების მომსახურების და განვითარების ღირებულება**. მათ შორის იგულისხმება:
 - a. **გადამცემი ქსელური კომპანიები** - „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „საქრუსენერგო“, „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“
 - b. **სადისპეტჩერო მომსახურების საფასური**
 - c. **გამანაწილებელი კომპანიები** (თელასი, ენერგო-პრო, ყაზტრანსგაზი, სოკარი, სხვ.)
3. **ოპერატორი კომპანიები**
 - a. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) მომსახურების ტარიფი¹
4. **დადგენილი დანამატები** (გარანტირებული სიმძლავრე, რეგულირების საფასური და სხვა.)
5. **სახელმწიფო გადასახადები** (დღგ)

მაგალითად მოგვყავს ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფის სტრუქტურა დაბალი ძაბვის მომხმარებლებისათვის (თ/კვტსთ)²



¹ დამატებითი ინფორმაცია ესკოს ფუნქციების შესახებ იხილეთ [ბმულზე](#)

² წყარო - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №33, 2008 წლის 4 დეკემბერი

შენიშვნა: სიმარტივისთვის, გარანტირებული სიმძლავრის საფასური და სხვა დანამატები შეყვანილია ენერჯის ღირებულებაში. (პირველი კომპონენტი)

პროფესიული მარეგულირებელი კომისიების მოვალეობაა, პოლიტიკური კონიუნქტურისგან დამოუკიდებლად, შექმნან პირობები სამართლიანი საბაზრო კონკურენციისათვის ენერჯის გენერაციის და მიწოდების დარგში, სამართლიანად და გამჭვირვალედ არეგულირონ ბუნებრივი მონოპოლიების ტარიფები და სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, დაადგინონ დანამატები. ეს ყველაფერი ტექნიკური საქმიანობაა და სჭირდება შესაბამისი განათლება და გამოცდილება, ამიტომ ტარიფის დადგენაში პოლიტიკური ჩარევა საზიანოა საზოგადოებისთვის.

ტარიფის სიდიდე და მისი ეფექტები

სამომხმარებლო ტარიფი უნდა ასახავდეს ენერჯის მიწოდების ობიექტურ, მიზანშეწონილ ხარჯებს (ინვესტიციის ჩათვლით) მათი საბაზრო ღირებულებით და იძლეოდეს სამართლიან მოგებას ენერჯოკომპანიებისათვის. სამომხმარებლო ტარიფს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ენერჯის მიწოდება-მოხმარების დაბალანსებაში.

- ტარიფის ხელოვნურად შემცირების დროს ვითარდება უფრო ენერგოინტენსიური დარგები და იზრდება ჯამური მოხმარება. ამავე დროს, შემცირებული ტარიფი აზარალებს ენერჯოკომპანიებს და ამცირებს ენერგეტიკაში ინვესტირების სტიმულს, რითაც ამცირებს მიწოდების შესაძლებლობებს, ზრდის იმპორტდამოკიდებულებას და აუარესებს მიწოდების ხარისხს.
- მაღალი ტარიფი კი პირიქით, ზღუდავს ეკონომიკის განვითარებას ამცირებს მოხმარებას და მოსახლეობის კომფორტის დონეს. მაგრამ, ამავე დროს, ზრდის ინვესტირების და მიწოდების სტიმულს. ტარიფების ხელოვნური ზრდა ენერჯოკომპანიების სასარგებლოდ შესაძლოა კორუფციული გარიგების მანიშნებელი იყოს.

აუცილებელია მიწოდება-მოხმარება ოპტიმალურად გაწონასწორდეს საბაზრო ღირებულების და ეკონომიკურად დასაბუთებული ტარიფის საშუალებით. გადახრა ოპტიმალური სიდიდიდან როგორც ზრდის, ასევე შემცირების მიმართულებით, აზიანებს მომხმარებელს და ქვეყნის ეკონომიკას.


ტარიფი და სოციალური პრობლემები

ა. პრობლემა არა ტარიფის სიდიდეში, არამედ მოსახლეობის სიღარიბეშია - ტარიფის ხელოვნური შემცირება კი მეტ სიღარიბეს იწვევს.

ტარიფი ხშირად ხდება სოციალური პრობლემებით სპეკულირების საგანი. გავიხსენოთ თუნდაც წინა წლების სატელევიზიო გამოკითხვები, სადაც გამვლელებს ეკითხებიან რამდენად უჭირთ ელექტროენერჯის საფასურის გადახდა.

სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის მთლიან ხარჯებში ელექტროენერჯის ღირებულება მხოლოდ 3-დან - 4%-მდე შეადგენს³. ანუ, სხვა ხარჯებთან შედარებით, განსაკუთრებულად მაღალი წილით არ გამოირჩევა. შესაბამისად, პრობლემა არა იმდენად ტარიფის სიდიდეში, არამედ მოქალაქეთა სიღარიბეშია, რომელთაც, სავარაუდოდ, ასევე უჭირთ საკვების, ტანსაცმლის, წამლის და სხვა აუცილებელი ხარჯების გაღება.

ნათქვამს ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამაც, სადაც ნაჩვენებია ევროკავშირის და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ელექტროენერჯის ტარიფების და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს (PPP) მაჩვენებლები (ნახ.1).



ნახ. 1 ევროკავშირის და მისი აღმოსავლეთ სამეზობლოს ელექტრობის ტარიფების და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების შედარება. ლურჯი სვეტები გამოხატავს ტარიფის სიდიდეს ცენტ/კვტ.სთ ქვეყნების მიხედვით, ხოლო წითელი ტეხილით ნაჩვენებია მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD) იმავე ქვეყნებში. წყარო INOGATE/WEG (2012 წლის მონაცემები).

მართლაც, ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო ტარიფები ბევრად მაღალია ვიდრე აღმოსავლეთ სამეზობლოში, თუმცა კიდევ უფრო დიდია შემოსავლები. მაღალი ტარიფები, ასევე, ასახავს უფრო მაღალი დონის თანამედროვე ენერგეტიკული სისტემების ხარჯებს, რაც მომხმარებლისთვის ელექტროენერჯის უკეთეს ხარისხში, საიმედოობაში და უკეთეს გარემო პირობებში გამოიხატება.

ტარიფით უკმაყოფილება კი სწორედ იმ ქვეყნებშია მაღალი, სადაც ტარიფი ყველაზე დაბალია, ხოლო შემოსავლები და სისტემის საიმედოობა კიდევ უფრო დაბალი. გავიხსენოთ თუნდაც ყირგიზეთის სატარიფო რეგოლაცია 2010 წელს.

ბ. ტარიფის სუბსიდირება ეწინააღმდეგება სოციალურ სამართლიანობას ვინაიდან წარმოადგენს მდიდრების დახმარებას სოციალურად დაუცველთა ხარჯზე.

³ წყარო: GEOSTAT, 2014 წლის ენერგეტიკული ბალანსი და შინამეურნეობების დანახარჯების სტატისტიკა.

მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ტარიფის სუბსიდირება (ანუ ფასდაკლება) და სოციალურად დაუცველთა პირდაპირი დახმარება.

ტარიფის ხელოვნური შემცირებით და სახელმწიფოს ხარჯზე სუბსიდირებით სარგებლობენ მდიდრები და ზარალდებიან სოციალურად დაუცველნი. ექსპერტთა მონაცემებით, მომხმარებლების 3% (შედლებული ფენა) საშუალოდ 10-12-ჯერ მეტ ბუნებრივ გაზს მოიხმარს ვიდრე დანარჩენები. შესაბამისად, იაფი „სოციალური“ გაზის სახით საერთო დოვლათიდან მათ 10-ჯერ მეტ სარგებელი მისდით ვიდრე ღარიბებს. მაშინ როდესაც, ამ საერთო დოვლათის მონეტიზაციით და მიღებული თანხის სოციალურ პროგრამებზე გამოყენებით, გაუმჯობესდებოდა სწორედ დაუცველთა მდგომარეობა. ამიტომ, ტარიფების სუბსიდირება ანტი-სოციალური ნაბიჯია.

პოლიტიკოსთა ბოლოდროინდელ განცხადებებში გამოიკვეთა მიზნობრივი სუბსიდირების საკითხი - ანუ ფულით და არა ტარიფის შემცირებით დახმარების ტენდენციები, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

ტარიფთან დაკავშირებული პრობლემები

ტარიფის ოპტიმალური რეგულირების პრინციპები საქართველოში მნიშვნელოვნად არის დარღვეული. ტარიფებს დიდწილად ენერგეტიკის სამინისტრო განკარგავს და ამ მხრივ სემეკის უფლებამოსილებები შეზღუდულია, მაგალითად:

1. 2013 წლის დასაწყისში, ტარიფების შესამცირებლად, სამინისტრო გარიგებაში შევიდა რუსეთის და აზერბაიჯანის ენერგოკომპანიებთან, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, მოუხსნა საინვესტიციო ვალდებულებები და გაუმჭვირვალე ხელშეკრულებები გაუგრძელა 2025-2030 წლებამდე.
2. „სოკართან“ დადებული გაუმჭვირვალე ხელშეკრულებით, ტრანზიტის შემოსავლებით მიღებული საქართველოს კუთვნილი ბუნებრივი აირი გადაეცემა „სოკარ გაზ ჯორჯიას“, რომელიც ამატებს საკუთარ გაზს და ისე გვაწვდის მოსახლეობის და თბოელექტროსადგურებისთვის ე.წ. „სოციალურ“ ფასად, ხოლო კომერციულ სუბიექტების და ახალ მომხმარებლებისათვის ე.წ. „კომერციულ“ ფასად. შეიძლება ითქვას, რომ „კომერციული“ გაზი „სოციალურ“ გაზზე ორჯერ ძვირია. ამ სქემის სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ იაფი „სოციალური“ გაზი ემსახურება უფრო მდიდარი ფენის და არა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას, სანაცვლოდ კი ძვირი „კომერციული“ გაზის ტვირთი აწევს ეკონომიკას და ზღუდავს მის განვითარებას. ანუ, იმისათვის, რომ მოსახლეობას ხელოვნურად გავუიაფოთ, გაზს ვუძვირებთ მათ სამსახურებს (კომერციულ კომპანიებს) და, შესაბამისად, ვუმცირებთ დასაქმების და ხელფასის მიღების საშუალებას.
3. ელექტროენერგეტიკაში გამოყოფილია თბოსადგურების პრივილეგირებული წრე, რომლებიც, მიხედავად გამომუშავებისა, თავიანთი ხარჯების სრულ ანაზღაურებას

იღებენ ე.წ. გარანტირებული სიმძლავრის⁴ გადასახადის სახით. ხდება პირდაპირი შეთანხმება სახელმწიფოსთან და შემდეგ ღირებულება ანაზღაურდება ე.წ. გარანტირებული სიმძლავრის გადასახადით, რომელიც გარდაბნის ახალი თბოსადგურისთვის შეადგენს 366 ათას ლარს/დღეში, მტკვარისთვის 63 ათას ლარს/დღეში, მე-3 და მე-4 ბლოკებისთვის 44 ათას ლარს/დღეში, ჯიფაურისთვის- 42 ათას ლარს/დღეში. შესაბამისად, ახალი თბოსადგურების აშენება არის მინიმალური რისკის მქონე ბიზნესი და დამოკიდებულია მხოლოდ მთავრობასთან მოლაპარაკებაზე. ამჟამად ეს ტვირთი ეკისრებათ მომხმარებლებს და ექსპორტიორებს, რის გამოც ტარიფი გაუმართლებლად იზრდება და ექსპორტი ვერ ხორციელდება. ეს მექანიზმი შემოღებულ იქნა ე.წ. „გაზოტურბინისათვის“ რითაც მომხმარებელმა წლების განმავლობაში გადაჭარბებული ხარჯი გაიღო.

4. ჰიდროსადგურების მშენებლობის მემორანდუმებით, ახალი ჰიდროელექტრო-სადგურებისთვის სამინისტრო ტარიფს გაუმჭვირვალე პრინციპებით ადგენს. მაგალითად: სათანადო არგუმენტაციის გარეშე, ხუდონს დადგენილი აქვს სავალდებულო სახელმწიფო შესყიდვა 10.5 ცენტად ცხრა წლის განმავლობაში, სხვა კომპანიებს - 6.5 ცენტად, ზოგიერთ სადგურზე კი ფასები ცნობილი არ არის. აღნიშნული შესყიდვის რისკები მთლიანად სახელმწიფოს ეკისრება და მომავალში ბიუჯეტის/მომხმარებლების გადასახდელია.
5. ელექტრობის ტარიფების ხელოვნურად შესამცირებლად „ენგურის“ ჰიდროელექტროსადგურის ტარიფში არ არის გათვალისწინებული მისი ოპერირების და შეკეთების ხარჯები, რაც მომავალში, სავარაუდოდ, ბიუჯეტუდან იქნება გასაწევი ეკონომიკური განვითარების და სოციალური პროგრამების ხარჯზე

დასკვნა

პოლიტიკური ჩარევა ტარიფის დადგენაში საზიანოა ენერგეტიკის, ეკონომიკის და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. **ტარიფის შემცირების დაპირებით პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება გაუმართლებელია.** პოლიტიკური დღის წესრიგის საგანი უნდა იყოს სემეკის დამოუკიდებლობის და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა, საბაზრო მექანიზმების ამუშავება და გამჭვირვალობა ფასების დადგენა და არა გარიგებები უცხო ქვეყნების ენერგოკომპანიებთან, რომლის ნამდვილი საფასურიც საზოგადოებისთვის უცნობია.

სოციალური პრობლემები უნდა გადაწყდეს არა ენერგეტიკის ხარჯზე, არამედ ეკონომიკის განვითარებით, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდით, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში - პირდაპირი სოციალური დახმარების მექანიზმებით.

⁴ გარანტირებული სიმძლავრე ნიშნავს, რომ თბოსადგურები სარეზერვო რეჟიმში არიან და არ გამოიმუშავენ ელექტროენერგიას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამატებითი ენერჯის მიწოდებაა საჭირო, სახელმწიფო კი მათ ყოველდღიურად უხდის თანხას.